

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტის მომზადება განაპირობა „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომლის თანახმად გაუქმდა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ ბიუროები და მათთვის გათვალისწინებული უფლებამოსილება გადაეცა იმ სამედიცინო დაწესებულებებს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული დაავადებებისათვის, ანატომიური ან გონებრივი დეფექტებისათვის სპეციალიზებულ სამედიცინო მომსახურებასა და აღნიშნულის საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენას.

ზემოაღნიშნული კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტით საქართველოს მთავრობას დაევალია იმ საკანონმდებლო აქტების პროექტების საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენა, რომლებშიც გამოიწვევდა ცვლილებებს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მომზადდა წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონებში საკანონმდებლო ხარვეზების გასწორებას და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროების ნაცვლად „შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების“ გათვალისწინებას, რომელთა სტატუსი და უფლებამოსილება მოცემულია „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ასევე, კანონპროექტის მიღება მიზნად ისახავს, სახელმწიფო პენსიის გაცემის რეგულირებისა და სახელმწიფოს თანხების არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან აცილების მექანიზმების დანერგვას. ამ მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისათვის პროექტით გათვალისწინებულია ვალდებულება, პირის გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციის

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მის განსაზღვრის წესს.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონის პროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.